სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 67

გამარტივებული შესყიდვა

დ.აბასთუმანი

22 ოქტომბერი 2013 წელი.

ერთის მხვრივ, შპს "აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო სააავადმყოფო" (მისამართი: ადიგენის რაიონი დაბა აბასთუმანი ფალიაშვილის ქ. № 40, ს/კ 222717246 ა/ა GE84LB0113128445216000, სს"ლიბერთი ბანკი"-ს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური განყოფილება ქ ახალციხე, ბანკის კოდი LBRTGE22) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თამაზ ქააძის სახით შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხვრივ,-ი/მ „ამირან პეტაშვილი" (მისამართი: ქ.ახალციხე აბასთუმნის გზატკეცილი 3/ნ 03001001009 ა/ა GE63BG0000000894600800 სს „საქართველოს ბანკი"-ს ახალციხის ფილიალი, ბანკის კოდი BAGAGE22) წარმოდგენილი მისი ხემძღვანელის ამირან პეტაშვილის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის" 10! მუხლის მე-3-ბ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანი ზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება,რომელიც ხელმოწერილია მხარე-ების მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მი თითებული;

1.2. „შემსყიდველი" ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემს-ყიდველმა" „მიმწოდწლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე", „კვირა","თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2.ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები-კერძოდ-ავტომობილის შეკეთებისათვის საჭირო ავტონაწილები. კლასიფიკატორის კოდი-50100000.

3.ხელშეკრულების საფუძველი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება, მუხლი მე-3-ე, პუნქტი 1-ლი, ქვეპუნქტი ა)
საკუთარი შემოსავლების ფარგლებში დაფინანსება.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1456 (ერთი ათას ოთხას ორმოცდათექვსმეტ) ლარს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (გადარიცხვა) ანგარიშსწორება მიმწოდებლის ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში, ორგანიზაციისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების(დაფინანსების) ანაზღაურებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.
6.2. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

7. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. მიწოდების ვადად განისაზღვრება 2013 წლის 22 ოქტომბრიდან 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

8. გარანტია

მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდებიდან ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე მოახდინოს ყველა გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით ან ნაკლის მქონე საქონლის შეცვლა.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვალდებულია:
   ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და ხარისხის ინსპექტირება.
   ბ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
9.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, ვალდებულია:
   ა) მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
   ბ) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას

განახორციელებს შემსყიდველის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი, რომელიც წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელებს ინსპექტირებას.

11.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

11.2იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%- ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული შენიშვნები

17.1. ხელშეკრულება დგება ორ თანაბარენოვან ეგზემპლიარად,საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო“	ი/მ ამირან პეტაშვილი
ადიგენის რ-ნი დ.აბასთუმანი ფალიაშვილის ქ №40	ქ. ახალციხე აბასთუმნის გზატკეცილი
ს/კ 222717246	პ/ნ 03001001009
სს „ლიბერთი ბანკი“ ახალციხე სამცხე-ჯავახ.რეგ.განყ.	სს „საქართველოს ბანკი“ ახალციხე
ა/ა GE84LB0113128445216000	ა/ა GE63BG0000000089400800
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
გენ.დირექტორი:	ხელმძღვანელი:
თამაზ ქააძე	ამირან პეტაშვილი